ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3655694

ნომერი: AR1550510

თარიღი : 19.10.2017

გაცემის თარიღი : 02.11.2017

გაცნობის თარიღი : 05.11.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ლისის ტბის და ვაშლიჯვარს შორის ინტენსიფიკაციის ქუჩის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კობა კიკნაძე პ/ნ 11001007980
- ქ. ბორჯომი

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 19 ოქტომბრის №AR1550510 განცხადება, ამავე სამსახურის 2015 წლის 27 აგვისტოს №2161420 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განცხადებაში დასმული საკითხი წარმოადგენს არა ცვლილებას

ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში, არამედ მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირებას.
შესაბამისად, განაცხადება უნდა დაარეგისტრიროთ სამსახურის ვებ გვერდზე (www.tas.ge) შემდეგი ნომენკლატურით: ელექტრონული განაცხადები > მიწის ნაკვეთის საზღვრების მომზადება > მიწის ნაკვეთის საზღვრების კორექტირება (გარდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მიწის ნაკვეთების საზღვრებისა).
განცხადების დარეგისტრირებისას პროგრამა ავტომატურად განგისაზღვრავთ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალს PDF ფაილის სახით. სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, სამსახური იმსჯელებს საკითხთან დაკავშირებით და მიღებული გადაწყვეტილება გეცნობებათ ელექტრონულად, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 27 აგვისტოს №2161420 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
აქვე განგიმარტავთ, რომ წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.